დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. განკარგულლების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 106[1]-ე მუხლის პირველ და მე-4 პუნქტებთან, რომელთა თანახმადაც მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

პროექტი, ასევე, შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული
განყოფილების უფროსი: **ბექა შენგელია**